თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 11 სექტემბერი.

„დინამო“ (თბილისი) – „ქაირათი“ (ალმა-ათა) 2:0 (2:0)

„დინამო“: ბალაძე, გოგრიჭიანი, ჩივაძე, ცვეიბა, კუდინოვი, გურული (ჟორდანია, 46), სვანაძე, სულაქველიძე, ცაავა, ჩელებაძე (ფანცულაია, 59), რევიშვილი.

„ქაირათი“: უბიკინი, ტიმოფეევი, ჯუმანოვი, იაროვენკო, კულინიჩი, კარაჩუნი, ოგაი (გრიჯანი, 85), ლედოვსკისი, სალიმოვი, მასუდოვი, ფეხლევანიდი (სოროკინი, 75)

მსაჯი ვ. ჟუკი (მინსკი).

გოლები: სულაქველიძე (6), ჩელებაძე (43, პენალტით).

ალმა-ათელ ფეხბურთელებს ახლა რეალურად ემუქრებათ უმაღლესი ლიგის დატოვების საფრთხე და ჩემპიონატის ფინიშზე ყოველი ქულა მათთვის მეტად ძვირად ფასობს. ამიტომ საფიქრებელი იყო, რომ მათთან შეხვედრა თბილისელთათვის მძიმე გამოცდა იქნებოდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ გუშინწინდელ მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღო დინამოელთა ერთბაშად რამდენიმე ძირითადმა მოთამაშემ: ნახევარმცველმა ჭედიამ ტრავმის გამო ზედიზედ მეორე თამაში გამოტოვა, დაშავებული გაბელიას ნაცვლად კარში ბალაძემ დაიკავა ადგილი, წინა კალენდარულ მატჩში მიღებული მეორე გაფრთხილების გამო ვერ ითამაშა კეტაშვილმა.

ერთი სიტყვით, მასპინძელთა მწვრთნელებს თამაშის გეგმაში საკმაოდ მნიშვნელოვანი კორექტივების შეტანა მოუხდათ: ჩივაძემ კვლავ თავისი ჩვეული ადგილი დაიკავა დაცვის ცენტრში, რამაც, ერთი მხრივ, შეასუსტა დინამოელთა შემტევი პოტენციალი, მეორე მხრივ კი მათ რიცხობრივი უპირატესობა მიანიჭა: ჩივაძის დაცვაში დაბრუნება მის თანაგუნდელებს საშუალებას აძლევდა უფრო აქტიურად ჩართულიყვნენ იერიშში და დინამოელებმაც მატჩის დიდი ნაწილი სამი მცველით ჩაატარეს.

მასპინძლებმა თავიდანვე აქტიურად, სწრაფი ტემპით დაიწყეს თამაში და საფუძვლიანად მოიკიდეს ფეხი მეტოქის ნახევარზე. საკმარისია ითქვას, რომ მე-4 წუთისთვის თბილისელებს უკვე სამი კუთხური ჰქონდათ ჩამოწოდებული სტუმართა კართან. ასეთმა ენერგიულმა დებიუტმა სულ მალე შედეგიც გამოიღო: მე-6 წუთზე ცაავამ ეფექტური პასი მისცა წინ გაჭრილ სულაქველიძეს. ამ უკანასკნელმა ზედიზედ რამდენიმე მეტოქეს აუარა გვერდი, საჯარიმოში შევიდა და ზუსტად დაარტყა კარის დაუცველ კუთხეში - 1:0. მთელი კომბინაცია ლამაზად, თითქოს ერთი ამოსუნთქვით შესრულდა და სამართლიანად გამოიწვია მაყურებელთა ოვაციები.

გოლმა ერთგვარად მოადუნა დინამოელები. მათ თანდათან უკლეს ტემპს, ბურთის აუჩქარებელ გათამაშებაზე გადავიდნენ, რაც სტუმართა წისქვილზე ასხამდა წყალს. მე-

9 და მე-12 წუთებზე ალმა-ათელებს ორჯერ მიეცათ ანგარიშის გათანაბრების შანსი, მაგრამ ჯერ ფეხლევანიდიმ, შემდეგ კი კარაჩუნმა მიზანს ააცდინეს. ბარემ იქვე ვიტყვით, რომ შემდგომში, დარჩენილ 78 წუთში, „ქაირათის“ თავდამსხმელებს იოტისოდენა ხიფათიც არ შეუქმნიათ ბალაძის კარისთვის. ალმა-ათელი მწვრთნელები ძირითად იმედს, ეტყობა, ფეხლევანიდიზე ამყარებდნენ, რომელმაც აშკარად ვერ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. საქმეს ვერც სოროკინმა უშველა, რომელმაც მეორე ტაიმში ფეხლევანიდი შეცვალა.

რაც შეეხება „დინამოს“, შესვენებამდე მას კიდევ რამდენიმეჯერ შეეძლო ანგარიშის გაზრდა: მე-13 წუთზე გურულმა თავით კარგი მდგომარეობიდან ააცდინა კარს. 10 წუთის შემდეგ კი რევიშვილის მიერ ძლიერად დარტყმულმა ბურთმა მარცხენა ძელს ჩაუფრინა. სიტყვამ მოიტანა და, უნდა ითქვას, რომ ამ ახალგაზრდა ფეხბურთელებმა კარგად ითამაშა ჩვენი გუნდის ძირითად შემადგენლობაში. არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენიოთ „დინამოს“ კიდევ ერთი ახალგაზრდა წევრი კუდინოვი, რომელიც მატჩიდან მატჩამდე იმაღლებს ოსტატობას და უკვე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს თბილისელთა თამაშის საიმედოობას.

მეორე გოლი მასპინძლებმა 43-ე წუთზე გაიტანეს. „ქაირათის“ მცველები საკუთარ საჯარიმო მოედანზე უხეშად მოექცნენ ჩელებაძეს, რისთვისაც არბიტრმა უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი. პენალტი თვით ჩელებაძემ დაარტყა - 2:0.

მეორე ტაიმში თამაშის ტემპმა იკლო. მაინც რეალური საგოლე მომენტი არც ერთ კართან არ შექმნილა. მატჩის ასეთი მსვლელობა, ეტყობა, სავსებით აკმაყოფილებდა მასპინძლებს. მათ მაინცდამაინც არც უზრუნიათ ტაქტიკის შეცვლაზე. „დინამომ“ ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა.

დავით კაკაბაძე
ლელო 13. 09.1986